არქიტექტურის თანამედროვე ტენდენციების გავლენა საზოგადოებაზე

ცნობილია, რომ ყოველდღიურ საცხოვრებელ გარემოს, ძლიერი გავლენა აქვს ადამიანებზე. თუ მაგალითისათვის ავიღებთ ნებისმიერ პირს, მისი ფიზიკური მდგომარეობა, რომელიც მოიცავს ჯანმრთელობას და სიცოცხლის ხანგრძლივობას, ასევე სულიერ მდგომარეობას, გემოვნების, ინტერესების, მიზნებისა და მისწრაფებების ჩათვლით, დამოკიდებულია იმაზე თუ რა გარემოცვაშია იგი.

არქიტექტურა საცხოვრებელი გარემოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია, შესაბამისად, მისი გავლენაც ადამიანებზე საკმაოდ დიდია. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ არქიტექტურა და ადამიანი თანაბრად ზემოქმედებენ ერთმანეთზე, იმიტომ, რომ ადამიანი ქმნის არქიტექტურას, რომელიც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს საზოგადოებაზე. ნებისმიერი ახალი იდეა, ტენდენცია, ნებისმიერი ახალი არქიტექტურული სტილი, არ იბადება შემთხვევით. არქიტექტორი ქმნის ნამუშევარს მის ქვეყანაში და მსოფლიოში არსებული ვითარების გავლენის ქვეშ.

მაგალითად, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, ინოვატორებმა გადაწყვიტეს უარის თქმა ყველაფერ ძველზე, დაიწყეს ახალი ფორმებისა და გადაწყვეტილებების ძიება, მათთვის აღარ იყო საინტერესო "ხელოვნება ხელოვნებისათვის." სწორედ ამ დროს, წარმოიშვა არქიტექტურის ისეთი სტილი, როგორიცაა კონსტრუქტივიზმი. იგი ხასიათდება რაციონალურობით, სიმკაცრითა და ფუნქციონალურობითა. შენობებმა, სადაც არ იყო არცერთი ზედმეტი, უსარგებლო მორთულობა, სადაც თითოეული ნაწილი ასრულებს თავის ფუნქციას, შექმნეს ბრწყინვალე ფონი იმროინდელი საზოგადოების განვითარების. კონსტრუქტივიზმი ნათლად უჩვენებდა ხალხს, რომ დაიწყო მათი ცხოვრების ახალი ეტაპი. შეიძლება ითქვას, რომ არქიტექტურას ქმნის უმცირესობა, მაგრამ გავლენას ახდენს ყველაზე.

არქიტექტურის თანამედროვე სტილები

დღეს, ხელოვნების ნებისმიერ სფეროში სუფევს მრავალფეროვნება, იქნება ეს მუსიკა, სახვითი ხელოვნება თუ არქიტექტურა. შემოქმედებითი ადამიანები არ ექცევიან რაიმე საზღვრებში, ყველას აქვს თვითგამოხატვის დამოუკიდებელი მეთოდი. არქიტექტურაში ერთობლივი სტილის არქონამ დასაბამი მისცა უამრავ მიმართულებას, ზოგიერთი უცნაური და კომიკურიც კია. განვიხილოთ დღეისათვის ყველაზე აქტუალური სტილები. თითოეული მათგანი უნიკალურია და ყავს მოყვარულები. შეიძლება ითქვას, რომ ყველა თანამედროვე სტილი არის ერთგვარი ტენდენცია,-სწრაფვა რაღაცის მიმართ, მაგალითად თვითგამოხატვის, ეპატაჟურობის, კომფორტის ან სიმშვიდის.

კლასიციზმი

კლასიციზმი - ერთ-ერთი უძველესი არქიტექტურული სტილია (აღმოცენდა მე -16 საუკუნეში). მისი არსი მდგომარეობს უძველესი არქიტექტურის ელემენტების გამოყენებაში.

კლასიციზმი შეიძლება დავახასიათოთ ეპითეტებით როგორიცაა: მონუმენტურობა, ჰარმონია, უბრალოება, სიმკაცრე. ამ სტილში აშენებული შენობა ყოველთვის გამოირჩევა თავშეკავებულობით. მათ აქვთ სწორი ფორმები და თითქმის ყოველთვის სიმეტრიულები არიან.

თუმცა, დღევანდელობაში კლასიციზმი გარკვეული დოზით შეიცვალა, შეიძინა თანამედროვე ნოტები, მაგრამ არ დაუკარგავს ხასიათი. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი შენობები - მაღალი ხელოვნების ერთგვარი სიმბოლოა. ისინი უქმნიან ადამიანებს კონკრეტულ განწყობას. შენობების კლასიკური სილამაზე და მონუმენტურობა, გარშემო ქმნის მაღალი კულტურის აურას, რომელიც ზემოქმედებს ადამიანებზე. არავის ებადება სურვილი, რომ წავიდეს კლასიკური მუსიკის კონცერტზე, სპორტული ტანსაცმლით. ადამიანი ქვეცნობიერად ცდილობენ გამოეწყონ სადღესასწაულოდ: ქალები იცვამენ საღამოს კაბებს, მამაკაცები სმოკინგს. ასეთ შენობებში იცვლება მათი მანერები და მეტყველებაც კი. ყველაზე უბრალო ადამიანიც კი ქვეცნობიერად იწყებს მოიქცევას, როგორც მაღალი საზოგადოების წარმომადგენელი.

ასეთი სტილის საცხოვრებელს არჩევენ მკაცრი და თავშეკავებული ადამიანები. ხშირად, მაღალშემოსავლიიანი პირები, რომელთაც სურთ ხაზი გაუსვან საკუთარ სტატუსს საზოგადოებაში. ისინი აფასებენ კომფორტს, მშვიდ კლასიკურ სილამაზესა და მიაჩნიათ რომ მიეკუთვნებიან ელიტას.

კონსტრუქტივიზმი

სტილი ხშირად გამოიყენება ადმინისტრაციული შენობების მშენებლობისას, მაგრამ იმის გამო, რომ არ გააჩნია კლასიკური სილამაზე და მორთულობა ისინი ნაკლებად "ელიტარულად" გამოიყურებიან.

ასეთი შენობები ზოგჯერ ერთფეროვანი და მოსაწყენია, თუმცა, რა თქმა უნდა, არქიტექტორები არ ამბობენ უარს კონსტრუქტივიზმზე საცხოვრებელი სახლების მშენებლობისას, რადგან ისინი იაფია და სწრაფად შენდება. მყიდველების მოსაზიდად მათ შემოიტანეს მინიმალური დეკორი, მკაფიო ფერების სახით, რაც შენობას აჩენდა უფრო მხიარულს ვიდრე მათი წინამორბედები. ეს ნაბიჯი საკმაოდ გამართლებული აღმოჩნდა. ბინები იყიდება ძირითადად საშუალო კლასის ადამიანებზე, რომლებიც არ ისწრაფვიან ფუფუნებისკენ.

ჰაი-ტეკი

ჰაი-ტეკი გაჩნდა მე -20 საუკუნის ბოლოს. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ შესაძლეელი გახადა მათი გამოყენება შენობა-ნაგებობებში ადამიანების კომფორტის გასაუმჯობესებლად და ასევე შენობისათვის უფრო საინტერესო, უჩვეულო და ფუტურისტულ ფორმების მისაცემად. სწორედ ამიტომ, ჰაი-ტეკი განასახიერებს სწრაფვას კომფორტისა და უახლესი გამოგონებების მაქსიმალურად გამოყენებისაკენ.

კიჩი

სიტყვა კიტჩი ითარგმნება გერმანულიდან როგორც "ხლამი" ან "უგემოვნობა". კიჩი შეიძლება ვიპოვოთ ყველაფერში. საშუალო შემოსავლის ადამიანები ამშვენებენ მათ ბინებს კიჩის საგნებით, რომელიც მხოლოდ აძლევს ძვირადღირებულ სახეს, სინამდვილეში კი არ წარმოადგენს ხელოვნების ნიმუშებს.

სტილი კიჩი - ეს არის სწრაფვა თვითგამოხატვისკენ, სურვილი საზოგადოების გაკვირვების, მათში ძლიერი ემოციების გამოწვევის, იქნება ეს აღტაცება, გაოცება, ან თუნდაც შოკი და სიძულვილიც კი. აქედან გამომდინარე, შენობა ამ სტილში - ძირითადად ეპატაჟურ და იაფასიანი შოუს ხაიათს ატარებს. ჩემი აზრით, ეს სტილი არის ადამიანებისათვის, რომლებისთვისაც გამორჩეულად ყოფნის სურვილმა უკანა პლანზე გადაწია რაციონალურობა და ფუნქციონალურობა.

ორგანული არქიტექტურა

ორგანული არქიტექტურის ძირითადი კონცეფცია - ეს არის გარემოსთან ჰარმონია. შენობები არ ცდილობენ გამოკვეთას, არამედ, პირიქით. ეს აძლევს ხალხს ბუნებასთან სიახლოვის გრძნობას, რომელიც ასე აკლია ქალაქებში მაცხოვრებლებს. არქიტექტორები პირველ რიგში, იყენებენ ბუნებრივ მასალებს. დიდ ყურადღებას მოითხოვს გეოგრაფიული გარემო. შენობის ფორმა დამოკიდებულია რელიეფზე: თუ იგი კლდოვანია, ფორმას იმეორებს შენობაც-ბარში ერწყმის სიბრტყეს და ა.შ.

ორგანული არქიტექტურის თავისებური სახეა ბიო-ტეკი, რომელიც ასევე იყენებს ბუნებრივ ფორმებს, მაგრამ არა აუცილებლად ბუნებრივ მასალებს. შენობები შეიძლება სულაც არ ერწყმოდეს გარემოს, თუმცა იმეორებს ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ფორმებს, როგორიცაა: ფიჭა, აბლაბუდა, ხეები, კვერცხი. ვიზუალურად ბიო-ტეკი ჰგავს ჰაი-ტეკს: ხშირად გამოიყენება რთული კონსტრუქციები და თანამედროვე მასალები, თუმცა თუ ჰაი-ტეკი გადაიხრება კონსტრუქტივიზმისკენ, ბიო-ტეკს აქვს მრუდხაზოვანი ბიომორფული ფორმები. ეს არის რაღაც საშუალო ორგანულ არქიტექტურასა და ჰაი-ტეკს შორის.

მინიმალიზმი

იქიდან გამომდინარე, რომ საზოგადოება დაღლილია ყოველდღიური აქტიური ცხოვრებით, გასაკვირი არაა, რომ გაჩნდა ერთგვარი ტენდენცია საცხოვრებლის მაქსიმალური გამარტივებისა, რამაც XX-XI საუკუნეების მიჯნაზე შექმნა ფონი ისეთი სტილის ჩამოყალიბებისა როგორიცაა მინიმალიზმი. შეიძლება ითქვას, რომ ასეთ გარემოში ადამიანი ისვენებს. იგი შორდება ხმაურიან და მტვრიან მეგაპოლისს, სადაც ქუჩები აჭრელებულია სარეკლამო ბანერებით, დადის უამრავი მანქანა, ყველაფერი მოძრაობაშია და ცდილობს მიიქციოს ყურადღება. მინიმალიზმი თავისი სწორხაზოვნებით, სიმშვიდით, მინიმალური ავეჯით და მწირე ფერთა გამით, მართლაც რომ, ქაოსისგან თავის დაღწევის საშუალებად იქცა და დიდი პოპულარობით სარგებლობს დღევანდელ საზოგადოებაში.

ეკოლოგია და არქიტექტურა

საიდუმლო არაა, რომ საუკუნეების განმავლობაში ადამიანმა მოახერხა ბუნებრივი რესურსების მნიშვნელოვნად შმცირება. მოსალოდნელი კატასტროფის შიშით, ხალხმა დაიწყო ნამდვილი ბრძოლა ეკოლოგიურობისათვის.

დიდ პოპულარობას იძენს "მწვანე" სახლები, რადგან ისინი აკმაყოფილებენ ეკოლოგიურობის ყველა მოთხოვნას. ისინი არიან სრულიად ენერგოდამოუკიდებლები, და ზოგ შემთხვევასი გამოიმუშავებენ კიდეც დამატებით ენერგორესურსებს, რომლის რეალიზაციაცაა შესაძლებელი. მნიშვნელოვანია ასევე მასალების ეკოლოგიურობა და მათთვის სათანადო გარემოს შერჩევა. მაგალითად ხე-ყველაზე ეკოლოგიური მასალაა, თუმცა ტენიან გარემოში შესაძლოა გახდეს სოკოს ან ობის გაჩენის წყარო.

კომფორტი როგორც ტენდენცია

დიზაინერული სტილების გარდა ადამიანები ყურადღებას აქცევენ საკუთარსაცხოვრებელ პირობებს. დღეს, ადამიანის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომფორტი.

განვასხვავოთ რამდენიმე ძირითად ფაქტორზე დამყარებული კომფორტი:

- თერმული კომფორტი-უამრავი ადამიანისათვის, განსაკუთრებით ოფისის მუშაკები, რომელთა სამუშაო დღე საშუალოდ 9 საათს შეადგენს, მნიშვნელოვანია, რომ შევინარჩუნოთ ოპტიმალური კლიმატი შენობის შიგნით. ძირითადად გამოიყენება თანმედროვე სავენტილაციო, კონდიცირების, გათბობისა და კლიმატკონტროლის ხელოვნური სისტემები, რაც საშუალებას იძლევა ტემპერატურა და ტენიანობა ავტომატურად შეიცვალოს, ამინდის, წელიწადის დროის ან დღის მონაკვეთის შესაბამისად.
- აკუსტიკური კომფორტი-მიიღწევა გარე თუ შიდა ხმაურის ჩახშობით. აქ მუშაობს მთელი რიგი ხმის საიზოლაციო მასალებისა. აკუსტიკური კომფორტის კონცეფცია მოიცავს არქიტექტურულ აკუსტიკას, რაც აბსოლუტურად აუცილებელია საკონცერტო დარბაზებში, თეატრებში თუ სალექციო აუდიტორიებში.
- სინათლის კომფორტი-წარმოადგენს ბუნებრივი განათების აუცილებელი ოდენობის უზრუნველყოფას სათავსოში, რაც მიზანშეწონილია კომფორტული სამუშაო გარემოს შესქმნელად ოფისებში და ა.შ. განათება მნიშვნელოვანია საგამოფენო დარბაზებშიც. მინის ფასადების მშენებლობის შესაძლებლობამ გაზარდა სინათლის შეღწევადობა ნაგებობებში.

არქტექტურის გავლენა საზოგადოების ვიზუალზე

კაცობრიობის ისტორიის თითოეული პერიოდის განმავლობაში, თვალნათლივ შეიმჩნევა უწყვეტი კავშირი ადამიანის ვიზუალსა და ყოველდღიურ გარემოს შორის. არქიტექტურა, რომელიც წარმოადგენს მის ძირითად ნაწილს, ყველაზე დიდი გავლენა იქონია სამოსზე. ერთი შეხედვით შეიძლება ითქვას, რომ მოდა შთაგონების წყაროს არქიტექტურაში პოულობს. ისევე როგორც არქიტექტურას, მასაც არ აგააჩნია კონკტერული სტილი და თითოეული ადამიანი მისი სუბიექტური აზრის მიხედვით ირჩევს სტილს. შეიძლება ითქვას, რომ როგორი არქიტექტურული სტილიც იზიდავს ადამიანს, იგივე სახის სამოსს ატარებს იგი.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, კლასიციზმი უქმნის ადამიანს კლასიკური და ოფიციალური სამოსის ტარების სურვილს იშვიათ, ძვირადღირებულ სამკაულებთან ერთად.

21-ე საუკუნეში, კონსტრუქტივიზმი იმდენად არ მოქმედებს ხალხის გარეგნობაზე, მაგრამ მე -20 საუკუნის დასაწყისში, როდესაც იგი ჩაისახა, ნამდვილი გადატრიალება მოხდა მოდის ინდუსტრიაში. როგორც მშენებლობაში დაიწყო ახალი მასალების გამოყენება, სამოსში გაჩნდა ახალი სახის ქსოვილები. არქიტექტურაში განთავისუფლდა ზედმეტი დეტალებისა და დეკორაციებისგან-სამოსიც გახდა უბრალო და მაქსიმალურად ფუნქციონალური.

თუ ჰაი-ტეკში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, ტანსაცმელში უკვე ჩნდება ისეთი რამ, როგორც ხელთათმანები ან წინდები გათბობით, ფეხსაცმელი - GPS ნავიგატორით, მაისური, რომელიც საშუალებას გვაძლევს ვიგრძნოთ ერთმანეთის შეხება მანძილის მიუხედავად, კაბა, რომელიც იცვლის ფერს და გამჭვირვალობასაც კი და ა.შ. რა

თქმა უნდა, ასეთი ნივთები შეზღუდული რაოდენობით, მხოლოდ ნიმუშის სახით არსებობს, მაგრამ რამდენიმე წელიწადში, ისინი აღარ იქნება იშვიათი.

ორგანულმა არქიტექტურამ არ მოახდინა გავლენა ვიზუალზე, რადგან არავის სურს გამოიყურებოდეს, როგორც ხე ან ზღვის ნიჟარა. არსებობს ასეთი მცნება-ორგანული სამოსი, რომელიც იქმნება ეკოლოგიურად სუფთა მასალებით(ბამბა, შალი, სელი, აბრეშუმი, ტყავი...).

მინიმალისტური არქიტექტურა არის მარტივი, ლაკონური და მშვიდი. ტანსაცმელი მინიმალიზმის სტილში ხასიათდება იგივე მაჩვენებლებით. ეს ნათელი და პასტელური ფერები, კომფორტულობა, მორთულობის სრული არარსებობა, ერთგვარი სიმკაცრე. ასეთი ტანსაცმლის, თუნდაც უმცირესი დეტალი გააზრებულია. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გამოყენებული მასალების ხარისხის.

დასკვნა

ჩემი მოხსენების ფარგლებში წარმოგიდგინეთ კვლევის შედეგები-ვიკვლევდი ეფექტს, თუ როგორ ზემოქმედებს ტენდენციები საზოგადოებასა და ხალხძე. ტენდენციებს ამ შემთხვევაში წარმადგენენ არქიტექტურული სტილიები,რომლებიც თავის მხრივ წარმოადგენენ ცხოვრების განსხვავებულ ფილოსოფიას და ყავთ თავიანთი მიმდევრები. განსაზღვრული სტილით გამსჭვალული ადამიანები მის შესაბამისად ვიქცევით და გამოვიყურებით.

ტენდენციას ასევე წარმოადგენს გაზრდილი ინტერესი ყველა უახლესი ტექნოლოგიის გამოყენების და მოვლენების მიმართ არქიტექტურასა და მშენებლობაში ისევ და ისევ საზოგადოების კომფორტის ზრდის მიზნით.

ზრუნვა გარემოს ეკოლოგიურობაზე ალბათ საუკეთესო ტენდენციაა. საგრძნობლად გაიზარდა ბუნებრივი მასალების გამოყენება, სახლებს აქვთ უნარი თავად აწარმოონ ენერგია. ეს დღითიდღე უფრო მეტსა და მეტ ადამიანს ხდის იძულებულს, იფიქრონ ჩვენს პლანეტაზე და იმაზე, რომ მათ არ უნდა დაიშურონ ძალისხმევა მის შესანარჩუნებლად.

https://www.babyblog.ru/community/post/housedesign/3148239

http://homester.com.ua/category/design/apartments/styles/

http://xn----8sbigadar6ao8abfs6m7b.xn--p1ai/stil-vashego-interera

http://sibac.info/conf/innovation/xxx/37100
http://cont-trend-arch-proect.blogspot.com/